სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა (სტრუქტურა) გვაძლევს წარმოდგენას პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნების თანაფარდობაზე, მათ თანმიმდევრულ დალაგებაზე სემესტრების მიხედვით, მათი გამოცხადების რიგითობაზე ან გაზაფხულის, ან შემოდგომის სემესტრში, ამ კურსების წინაპირობებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სტუდენტის კვირეული სააუდიტორიო დატვირთვაზე.

სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით, სავალდებულო კურსებად განსაზღვრულია საგნები, რომლებიც სტუდენტს აძლევს მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის აუცილებელ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, არჩევითი საგნები კი აღრმავებს და განამტკიცებს სპეციალობით შესაძენ ცოდნასა და უნარებს. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასპეციალიზაციო და არჩევითი საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში და თანაფარდობაშია.

განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ მოდულებიანი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში:

კონკრეტული მოდულის სტუდენტისთვის, ამ მოდულის სავალდებულო საგნების გარდა, აუცილებელია პროგრამის საერთო-სავალდებულო დისციპლინების გავლა, რომელიც პროგრამის სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) თვალსაჩინოდაა გამოყოფილი!

სამაგისტრო სასწავლო კურსების დიდ ნაწილს ხშირად დაშვების წინაპირობა არ გააჩნია, თითოეული ამ სასწავლო დისციპლინის თემატიკა და პრობლემატიკა განაპირობებს სასწავლო კურსის გარკვეულ ავტონომიურობას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს დარგის მთლიანობაში გააზრების შესაძლებლობას.

სასწავლო კურსების თანმიმდევრობა პროგრამის კურიკულუმით გულისხმობს მათ დალაგებას და დაგეგმვას სემესტრულად ისე, რომ ეს მექანიზმი სტუდენტისთვის იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე. პროგრამის სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) მითითებულია სასწავლო კურსების გამოცხადების რიგითობა ან გაზაფხულის, ან შემოდგომის სემესტრში და დაშვების წინაპირობის არმქონე სასწავლო კურსების შემთხვევაში მათი გავლა, კონკრეტული შემოდგომის სემესტრში (I ან III), მაგალითად, თავად სტუდენტის სურვილზეა დამოკიდებული. დაშვების წინაპირობის არმქონე სასწავლო კურსები ხშირად სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ეხმარება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სემესტრული სასწავლო ცხრილების შედგენისას უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამის ძირითადი კურსების დრო ცხრილში არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

ჩვეულებრივ, სამაგისტრო პროგრამების ცხრილით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინები დღის მეორე ნახევარშია დაგეგმილი (16^{00}, 17^{00} საათიდან) მაგისტრანტთა სხვადასხვა აქტივობის (მათ შორის, პროფესიული დასაქმების) ხელშესაწყობად.

სტუდენტისთვის სასწავლო კურსების სემესტრული არჩევის, ძირითადი და არჩევითი დისციპლინების თანაფარდობის მექანიზმის გამჭვირვალობა

უზრუნველყოფილია აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში შესაბამისი კონსულტაციებით, რომლებსაც სტუდენტებს უწევენ ტუტორები მათი სემესტრული ცხრილის დასაგეგმად და სემესტრის განმავლობაში კი პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი.

მოდულებიან პროგრამებში ერთი მოდულის სავალდებულო სასწავლო დისციპლინა მეორე მოდულის სტუდენტისთვის სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსად ითვლება.